## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

## ბრძანება №506

თბილისი 23. 01 2011წ.

### 2011-2012 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსების უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით კომისიის შექმნის, განცხადების ფორმის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

"საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ლ" და "მ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2011-2012 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უფლების მქონე პირთა დადგენის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნოდარ სურგულაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ეკა გვარამია - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის მდივანი);

გ) ვალერიან გობრონიძე - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

დ) ეკა რურუა - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ე) ნუგზარ ჩიტაია - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ვ) მინდია ოკუჯავა - უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ზ) პლატონ ფეიქრიშვილი - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

თ) ნინო ნადირაშვილი - ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი;

ი) მაია გაბუნია - სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის ჯგუფის მთავარი ლოჯისტი;

კ) გურამ უგრეხელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

2. დამტკიცდეს 2011–2012 სასწავლო წლის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უფლების მოსაპოვებლად წარმოსადგენი განცხადების ფორმა დანართი 1-ის შესაბამისად;

3. დამტკიცდეს 2011–2012 სასწავლო წლის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად;

4. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6).

დიმიტრი შაშკინი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს, ბატონ დიმიტრი შაშკინს

.................................................... მოქალაქე
(მოქალაქეობა)

....................................................
(გვარი, სახელი)

.................................... ....................................
(პასპორტის ნომერი) (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი)

## განცხადება

.................. წლის ჩავირიცხე ....................................................

....................................................
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ფაკულტეტი)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა "2011-2012 სასწავლო წლის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.

დანართი: .................. ფურცელი.

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი ....................................................

მობილური ....................................................

ფიქსირებული ტელეფონი.................................... ელ-ფოსტა....................................

განმცხადებლის ხელმოწერა .......................... განცხადების შევსების თარიღი......................

დანართი 2

## 2011-2012 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

სტუდენტებმა "2011-2012 სასწავლო წელს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მისაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ);
2. სრული ზოგადი ან მისი ექვივალენტური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (თარგმნილი ქართულ ენაზე და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ).